საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
INVESTIGATION SERVICE

N 12083 / 15-02

12083-15-02-2-202108251710

25.08.2021

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2021 წლის 23 აგვისტოს №3-749 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმის აღმოჩენის ფაქტებზე, გამოძიება დაიწყო 02 (ორი) სისხლის სამართლის საქმეზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია „დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან“. შესაბამისად, საგამოძიებო სამსახური საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობითა და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, მოკლებულია შესაძლებლობას წარმოგიდგინოთ წერილით მოთხოვნილი სხვა სახის ინფორმაცია.

პატივისცემით,

ნანა ხუციშვილი

ადმინისტრაციის უფროსი
საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაცია

ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. N2ა; ტელ.: (995 32) 226 20 48, 226 20 47, 226 20 46; ფაქსი: (995 32) 226 20 18, 226 20 48
Tbilisi, georgia, 0177 , 2a, Universiteti str.; Tel.: (995 32) 226 20 48, 226 20 47, 226 20 46; Fax: (995 32) 226 20 18, 226 20 48